



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### დადგენილება №15

2017 წლის 19 ივლისი  
ქალაქი ახალციხე

**„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### **მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 29 ივნისის № 12 დადგენილებაში (ვებგვერდი, 30/06/2017, სარეგისტრაციო კოდი:190040000.35.138.016271) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით:

#### **მუხლი 2.**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

#	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
	საკრებულოს აპარატი	
5.	I რანგი -საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
6.	III რანგი- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	560
7.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	560
8.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	560
9.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი წერილებისა და კადრების საკითხებში	540
10.	III რანგი - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	540